აჩეტ არ იზიარებს იდეას იმის შესახებ, რომ მარლოუ მხოლოდ და მხოლოდ ნარატორია. კონრადს რომ სდომებოდა თავისი გამიჯვნება მარლოუსგან, „მისი მცდელობა, ჩემი აზრით, ამაო იქნებოდა, რადგან ის მკაფიოდ არ მიგვანიშნებს რეფერენციის ალტერნატიულ სისტემაზე, რომლის მეშვეობითაც შევძლებდით გვემსჯელა პერსონაჟების ქმედებებისა და თვალსაზრისების შესახებ". მოგვიანებით დაწერილ ესეში აჩეტ აღნიშნავს: „ჯოზეფ კონრადი თავგადადებული რასისტი იყო". რამდენიმე გამჭრიახი არგუმენტით ამ თვალსაზრისის დასაბუთების შემდეგ, აჩეტ დასძენს: „კონრადთან შეინიშნება ერთგვარი ანტიპათია შავკანიანების მიმართ, რაც შეიძლება აიხსნას მისი სპეციფიკური ფსიქოლოგიით". აჩეტ ერომანეთს ადარებს შთაბეჭდილებას, რომელიც კონრადზე მოახდინა ინგლისელი ადამიანის პირველად ნახვამ, მეორე მხრივ კი , სრულიად საპირისპირო რეაქციას, რომელიც მას ჰქონდა შავკანიანის პირველად ნახვისას, და შენიშნავს: „ირაციონალური სიყვარული და ირაციონალური სიძულვილი თანაარსებობდა ამ ნიჭიერი, მგრძნობიარე ადამიანის სულში".

ამასთან, აჩეტ აღიარებს, რომ კონრადს აღაშფოთებდა ის, თუ როგორ ექცეოდნენ ევროპელები აფრიკელებს: „კონრადი ემობდა იმპერიული ექსპლატაციას, მაგრამ უცნაურია, რომ მან თითქოს არაფერი იცოდა რასიზმის შესახებ". ამგვარად, კონრადი, აჩეტის აზრით, წერდა ნანარმოებებს, რომლებიც ეძღვნებოდა კოლონიური ჩაგვრის მთელ სიმახინჯეს და ააშკარავებდა იმ იდეოლოგიის ასპეტებს, რომელიც ამ კოლონიალიზმის აყვავებას უწყობდა ხელს".

აქედან გამომდინარე, აჩეტ ასკვნის, რომ „წყვდიადის გული" არ გახლავთ „ხელოვნების დიადი ქმნილება". მოუხდავად ამისა, რომანი გულწრფელ ხელოვნების მიერ დაწერილი ფასეული დოკუმენტი, ხელოვნებისა, რომელიც ვერ გაერკვა საკუთარ დამოკიდებულებებსა და საკუთარ თავში, რაც აჩეტს აღშფოთებას ინვევს.

წიგნში „ეანიადი: ჯოზეფ კონრადი გლობალურ სამყაროში" ისტორიკოსი მაია ჯანანოვი აგვიწერს კონრადის მოგზაურობას ილ ქვეყანაში, რომელსაც ახლა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა ეწოდება. ამასთან, მისი წიგნის უმეტესი ნაწილი ეძღვნება კონრადის თხზულებებს, კერძოდ, „წყვდიადის გულს", „ნოსტრომოს" და „საიდუმლო აგენტს". ავტორი პარალელებს ავლებს კონრადის ნაწარმოებებში აღწერილ ამბებსა და თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს შორის. „კონრადის ქმნილებები, - წერს ჯანანოვი, - ჯადოსნურ სარკეს ჰგავედი და მომავლის სურათებს გვიჩვენებდა: 11 სექტემბრისა და ისლამური ტერორიზმის გაძლიერების შემდეგ გამოაგნა ის ფაქტმა, რომ მწერალმა, რომელმაც დაგმო იმპერიალიზმი „წყვდიადის გულში", ასევე, დაწერა „საიდუმლო აგენტი" (1907), რომელშიც აღნერილია ტერორისტული ბომბის აფეთქების გეგმა ლონდონში. 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ გამაკვირვა იმან, რომ კონრადის „ნოსტრომოში" (1904) კაპიტალიზმი იმავე მეთოდებით და ხრიკებით მოქმედებს, რომელთა შესახებაც ეკითხულობდი ყოველდღიურ გაზეთებში. ციფრული რევოლუციის განვითარებამ გამახსენა, რომ კონრადი „ლორდ ჯიმმი" (1900) და მრავალი სხვა ნაწარმოებში წერდა ტელეგიენური კატასტროფების შესახებ იმ სფეროში, რომელსაც ყველაზე უკეთ იცნობდა - ნაოსნობაში. როდესაც ეკრჩა ეს შეერთებული შტატები ვერ შეეთანხმნენ საკითხში იმიგრაციის შესახებ, კალკე და კვლავ მაოცებდა ის, რომ კონრადი თავის წიგნებს წერდა ინგლისურ ენაზე - მესაბე ენაზე, რომელიც მან შეისნავლა უკვე ზრდასრულობის ასაკში".

მაია ჯანანოვის აზრით, ჯოზეფ კონრადი მისი თანამედროვეა, რომლის შემოქმედებაში აისახება მსოფლიოს აქტუალური მდგომარეობა; მას თავიანთ თანამედროვედ მიიჩნევენ ის რომანისტებიც, რომელთაც ხიბლავს კონრადის ნაწარმოებებში ასახული იდეები, სტილი და ფორმალური ღირსებები.

ჯოზეფ კონრადი (იუზეფ ტეოდორ კონრად კორჟენიოვსკი) დაიბადა უკრაინაში, 1857 წელს, ბაღლინ და ეველინა კორჟენიოვსკების ოჯახში. მამამისი პოეტი, პოლიტიკური მოღვაწე და პოლონელი პატიოსანლისტი გახლდათ. როდესაც კონრადი სამი წლისა იყო, ბაღლინ პორჟენიოვსკი ცარისტულმა

პოლიციამ დაიპატიმრა და ვარშავის ციტადელში გაგზავნეს. მალე კონრადის დედაც დააპატიმრეს. მოგვიანებით კონრადი წერდა, რომ სწორედ „ამ ციტადელის ეზოში - რაც ნიშანდობლივია ზვები ერიათვის - იწყება ჩემი ბავშვობის დროინდელი მოგონებები". 1861 წელს აპოლონ კორჟენიოვსკი ვოლოგდაში გადაასახლეს. ეველინა, შვილთან ერთად, თან გაჰყვა ქმარს.

როდესაც ბავშვი რვა წლის იყო, დედამისი დაავადდა (ვერ გაუძლო მძიმე პირობებს, რომელშიც იმყოფებოდა გადასახლებაში) და გარდაიცვალა. კონრადის მამა, მიკირეწლოვან ვაჟიშვილთან ერთად, კრაკოვში დაასახლდა. თერთმეტი წლის ასაკში ბიჭს მამაც გარდაეცვალა და მასზე მეურვეობა ბიძამ იკისრა. მამის სიკვდილიდან თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ კონრადი ასე იხსენებდა მამის დაკრძალვას კრაკოვში: „ძველ ქალაქში მთვარის შუქი ეფრქვეოდა დიდებულ აკლდამებსა და გარდაცვლილთა ძეგლებს. კვლავ დავინახე პატარა ბიჭი, რომელიც კატაფალკს უკან მისდევდა; მივდიოდი და უკან ურიცხვი ხალხი მომყვებოდა.. კრაკოვის მოსახლეობის ნახევარი აქ მოვიდა მაიოის იმ მშვენიერ საღამოს. მოვიდნენ, რათა პატივი მიეგოთ იმ ადამიანის ხსოვნისთვის, ვინც სიცოცხლის ბოლოხანდ სიტყვისა და საქმის ეროგული დარჩა. მას თითოეული ადამიანი თანაუგრძნობდა ამ ბრბოში".

ინგლისური და ფრანგული სათავგადასავლო რომანების ზეგავლენით, კონრადმა გადაწყვიტა, მეზღვაური გამხდარიყო. ამ გადარყვეტილებამ კრაკოვში ყველა გააკვირვა. ოექვსმეტი წლის კონრადი მარსელში გაემგზავრა და მალე ბრიტანულ სავაჭრო ხომალდებზე დაცურავდა. „იმ დროს (1878 წელს) როდესაც კონრადი მეზღვაურად მოეწყო ეკმ „ჰერცოგ ააზერლენდზე", - წერა ჯასანოვი, - ბრიტანელი ეკიმთმეპატრონეები აკონტროლებდნენ მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 70 პროცენტს". აქ პირობები მძიმე იყო, ჯამაგირი - არცთუ სახარბიელო, და როგორც საადმირალო უწყების ერთერთი მოხელე აღიარებდა, „შეუძლებელი განდეგილდა მეზღვაურება დაქირავება, რომ არა რომანტიკულად განწყობილი ჭაბუკები, რომელთაც ხიბლავდა შორეული მოგზაურობების პერსპექტივა". კონრადმა თავისი პროფესიული სერტიფიკატი 1886 წელს მიიღო და იმავე წელს ბრიტანეთის მოქალაქე გახდა.

კონრადს ხშირად უთანხმოება მოსდიოდა კაპიტნებთან. „მართალია, ეს უთანხმოებები უმეტესად პროფესიერებული იყო, - წერს მაია ჯასანოვი, - მაგრამ მათი სიხშირე აამკარავებს კონრადის მგზნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარე, ბობოქარ ტემპერამენტს". როდესაც იალქნებს ორთქლი შეენაცვლა, იალქნიანი გემების რაოდენობა 30 პროცენტით შემცირდა, რაც ანნელუბდა სიმუშაოს მოძებნას. კონრადი გემის კაპიტნად მუშაობდა მხოლოდ ერთხელ; დანარჩენ დროს თანახმა იყო, უბრალო მეზღვაური ყოფილიყო. მისმა ერთერთმა ძველმა ბიოგრაფმა მიაჯნო კაპიტანს, რომლის გემზეც კონრადი მუშაობდა 1887-1888 წლებში. კაპიტანმა გაიხსენა, რომ ერთხელ, როდესაც კაიუტაში ჩავიდა, რათა თავის პირველ თანაშემწეს (კონრადს) რაღაც საკითხთან დაკავშირებით მოთათბირებოდა, დაინახა, რომ ის გამაღებით წერდა". ჯასანოვი აღწერს კაუშირს მეზღვაურის ცხოვრებაასა და თხრობის კონრადისეულ სპეციფიკურ მანერას შორის, რომელიც თავს იჩენს, მაგალითად, „ლორდ ჯიმში":

„გემის ჟურნალში აღირიცხება მოძრაობის ყოველი მომენტი. ყოველდღიურად ჩაიწერება ხოლმე შემდეგი რიცხობრივი მონაცემები: თარილები, გრადუსები, რუმბები, სიღრმე... ამის გამო მეზღვაურს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს დროსთან... რაკი აწმყოს შეკახეგ ყველაფერი ცნობილია, წარსულია და მომავალი იქცევა არაჩვეულებრივად მრავალფეროვანი წარმოსახული მოვლენებით შეფერადებულ სფეროებად ..", "კონრადმა რამდენიმე წელი გაატარა ყველაზე გრძელ მარშრუტებზე, რომლებზეც რეგულარულად დაცურავდნენ იალქნიანი გემები მცირერიცხოვანი ეკიპაჟებით, მგზავრების გარეშე. ისინი მხოლოდ რამდენიმე ნაოსნადგურში შედიოდნენ... შედეგად, „ლორდ ჯიმში" თხრობა აწორედ დროის მეზღვაურისეულ აღქმას შეესაბამება".

1890 წლის დასაწყისში, როდესაც გემის კაპიტანი მდინარე კონგოზე გამგზავრული შეტაკებია დროს მოკლეს, მისი ადგილი კონრადმა დაიკავა. აფრიკაში მიმდინარე მოვლენებს, რომლებიც კონრადმა „წყვდიადის გულში" ასახა, მიეძღვნა შემდეგი ნაშრომები: ნორმან შერის „კონრადის დასავლური სამყარო" (1971), სვენ ლინდკვისტის „გაანადგურეთ ყველა ველური" (1992) და ადამ ჰოხშილდის „შეფუ ლეოპოლდის აჩრდილში" (1998), ასევე - მაიკ ჯასანოვის წიგნი.

1885-1908 წლებში კონგოს თავისუფალი სახელმწიფო ბელგიის მეფის, ლეოპოლდ მეორის მფლობელობაში იყო. კონრადის აფრიკაში ყოფნის პერიოდში, კონგოდან ბელგიელებს სპილოს ძვლები გაჰქონდათ; მოგვიანებით იქ მოიპოვებდნენ კაუჩუკს. 1896 წელს კონგო კაუჩუკის უმსხვილეს ექსპორტიორად იქცა ევროპაში. მართალია, ლეოპოლდ მეორე აცხადებდა, რომ ჰუმანური მიზნები ამოძრავებდა, მაგრამ მაღე გამოიშკარავდა, რომ ის მხოლოდ ქვეყნის ძარცვით იყო დაინტერესებული.

ЕЛЕКТРОННА БІБЛІОТЕКА

„Хлопці, що ми робимо? Ми ж – мадяри, а ми – ніхто, ми – ніщо, ми – ніщо, ми – ніщо

1 სექტემბერს დაამთავრა თავისი ნაწარმოები, შეხიმნიაზე მაია ჯაჯანოვი, „პანამაში ისეთივე მდგომარეობა სუფევდა, როგორიც სულაკოში იყო. პანამის ნიერ მოპოვებული დამოუკიდებლობა მეისეე აღიარა მეერთიბულმა შტატებმა და მისმა ეკონომიკამ, რასაც მომწმობდა ამერიკული კაპიტალდაბანდეებები პანამის არხში. სულაკომაც მოიპოვა დამოუკიდებლობა, რომელიც დაუყოვნებლივე აღიარა მეერთიბულმა შტატებმა, რომელი ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი იყო კაპიტალდაბანდეებები სან-ტომეს (გამოგონილ) მაღარაში".

მაია ჯაჯანოვის მიზანია, განსაზღვროს კონრადის დამოკიდებულება „ჯენიბალური სამყაროს" მიმართ (ეს სიტყვები მისი ნაშრომის ეგეესაათარში გატანილი). მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ (თუ „ნოსტრომოს" მიხეედით ვიმსჯელებთ), კონრადი არა მარგო გათეიოდნეობრეტული იყო მისი თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნების გეოპოლიტიკურ ვითარებაში, არამედ მათ მომავალსაც წინასწარმეეტყველებდა. ჯაჯანოვს მოჰყავს ციტატა 1905 ნელს დანერილი კონრადის ვრეელი ესეედან, სადელნოდებით „თვითმპყრობელობა და ომი". აქ მწერალი აღნიშნავს, რომ ევროპის, როგორც მსოფლიოს გავლენანი რეგიონის ეპოქა დასრულდა:

„არსებობს მხოლოდ იარაღითა და ვაჭრობით დაინტერესებული ერთადერთი კონტინენტი, სადაც თანდათან მწიფდება ნიადაგი სამკვეთრო-სასაცოცხლო ეკონომიკური კონკურენციისთვის და ხმამაღალი გაცხადებული მსოფლიო ამბიციებისთვის".

კონრადის მიიედვით, მეერთეებული შტატები ერთადერთი ანგარიშგასაწევი ძალაა. მისი აზრით, მომავალში „არავითარი ომი არ წარმოიიმობა იდეების დასაცავად". მაია ჯაჯანოვი დაასძენს : „ყველა ომის მიზეზი ფული იქნება".

ფული კონრადსაც იშოვა. მისი პირველი ბესტსელერი გასდდათ ორმოცდათექვსმეტი წლის ასაკში დანერილი რომანი „ზანსი", ხოლო მეორე ბესტსელერი იყო „ოქროს ისარი" (1919). მაია ჯაჯანოვი იმოწმებს ციტატას გაზეთიდან: 1920 წელს გაიყიდა ჯოუეფ კონრადის ოცდათექვსმეტჯერ მეტი ნიგნი, ვიდრე - 1911 წელს.

1924 ნელს, კონრადის გარდაცვალების შემდეგ, ვირჯინია ვოლფმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონრადი უცხოელი ნარმომავლობის მნერალი იყო. მან კონრადს „ჩვენი სტუმარი" უწოდა და ხაზი გაუსვა კონრადის ნაწარმოებების „იდუმალებით აღსავსე ატმოსფეროს" და ნერის უცხოურ მანერას. მაგრამ კონრადმა თავის რომანებში აღწერა დასაალეთიც და აღმოსავლეთიც, მალაიაც და ლონდონიც, სამხრეთი ამერიკაც და აფრიკაც. აქედან გამომდინარე, ის, ზოგადად, მთელი მსოფლიოს სტუმრად უნდა მივიჩნიოთ, რომელმაც, ნამდვილად გაუსნერთავთის ეპოქას.

ამასთან, რუსეთის მიმართ კონრადის დამოკიდებულება სპეციფიკური ხასიათისაა იყო, რაც აისახა ესეში „თვითმპყრობელობა და ომი": ... „ეტმშარიტება ისაა, რომ ჩვენი ნამებისა და ჩვენი ბავშვობის დროინდელი რუსეთი ჰეტრე დიდის ნაასდერძვენა... და მასთან ბრძოლა შეუძლებელია. შეუძლებელია იმის გამო, რომ აღარ არსებობს - ბოლოდა ბოლოს, გაკრა, და ჯეერჯერობით არ ჩამოყალიბებულა არავითარი ახალი რუსეთი, რომელიც შენაცვლება ამ აგებედთ წარმინაკენმნს. ის თითქოს შემლილის ფანტაზიის ნაყოფია - ოდენ კოშმარული ფიეიური, რომლის ერთადერთი მიზანი სხვა ერების დაშინება და დაბერეოვებაა. აჩრდილივით არსებობდა, აჩრდილივით გაუჩინარდა და მეფხიერებაში არ დაუტოვებია არც ერი კეთილშობილური ან უანგარო (თუნდაც უნებური) ქმეედება სხვა ერებისა და სახელმნიფოების მიმართ. არსებობდა სხვა დესპოტური სახელმნიფოებიც, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ყოფილა ესოდენ ზნედაცემული, არც ერთი მათგანის შექმნის პერიოდი არ ყოფილა ესოდენ სამარცხვინო".

დავასასხელებთ კიდეე ერთ მაგალითს (მრავალთაგან), რომლებიც აამკარავებს კონრადის ღრმა სიძულვილს რუსეთის მიმართ. ფრედერიკ რ. კარლი „ოსტროომოს" ანალიზისას (თხზულებაში „ჯოზეფ კონრადი: სამი სიცოცხლე") აღნიშავს, რომ სულაკოს სასით კონრადმა პოლონეთის მდგომარეობა ასახა (და არა პანამისა), ხოლო მეერთებული შტატების პოლიტიკა რომანში რუსეთისას შეესაბამება: „კონრადი გეაუწყებს, - წერს კარლი, - რომ მთელი ქვეყანა (იგულისხმება რუსეთი) მოუცავს ბიროკმოძმენდეგენი და ზნეობრივ გაბრმნლებას. სნორედ ეს თვალსაზრისი უფლეს საფუძვლად მის ნაწარმოებებს: „საიდუმლო აგენტი", „დასაალეთის თვალთახედვიდ", „ზანსი" და „გამარჯვება". ეს, და არა თეორია ფემოკრატიის, მისი დამრცხებებისა და გამარჯვებების შესახებ, წარმოადგენს კონრადის პოლიტიკურ ბაზისს".

მაია ჯაჯანოვს მოჰყავს კონრადის სიტყვები, რომელებიც დაინერა პოლონეთში მისი მოგზაურობის დროს, 1914 ნელს: „1874 ნელს კრაკოვში ბავეჯეი მატარებელში (ეენის ენესპრესში) და გაკეცნრეთ ზღვიისკენ, ისე, თითქოს საოცხებო სამყაროკენ მივეემართებოდი. ეს ოცენა დღესაც ვრძელდება". კიინოს, ბორნეოს, ლონდონისა და სამხრეთ ამერიკის შესახებ ოცხებენის დროს კონრადი არ აავიწყდებოდა ქვეყანა, რომელიც დატოვა - და რომლის შესახებაც (ინსიდი მოუედდაკად, რაოდენ მორა იმყოფებოდა ის სამშობლოსგან) ყოველთვის ოცნებობდა - მშობლიური პოლონეთი.

კონრადი, როგორც ორი ერის წარმომადგენელი, ზეიძლება ჩვენს თანამედროვედ ჩავთვალოთ. ამასეე მოწმობს ის, რომ განსაცდელის დროს, ისევე, როგორც ცხოვრების ბეედნიერ მომენტებში, მისთვის იუმორის გრძნობას არ უდალატია. როდესაც კონრადს ჰკითხეს, რატომ არ წერდა პოლონურ ენაზე, ინგლისელმა მნერალმა მიუგო: „იმდენად დიდ პატივს ვცემ მშვენიერ პოლონურ ლიტერატურას, რომ თავს უფლებას არ მიცემ, ის ჩემი უსარგებლო ენებიროთი „გავამდიერო". ინგლისელება „ეკ მოსწონთ ჩემი ენებიროა და მეც სწორედ ამის მეგეეობით ვეშოელობ ლუკმპაპურს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ კიკნაძე

თავის-უფალი, სხვის-უფალი, სხვის-მონა

მიხეილ ნანეიშვილი

ჩვენს წინ არის არაორდინალური, თავის გვარში სრულიად უნიკალური გამოკვლევა მიხეილ ნანეიშვილისა **„თავისუფლება“ და თავისუფლება: სიტყვა და ცნება** (გამ-ბა „გრიფონი“, თბ., 2012, 267 გვ.). მიუხედავად იმისა, რომ ავტორის აღიარებით, „ესაა ნიგნი, რომლის შინაარსიც ერთი სიტყვის შინაარსია“, მაინც „ერთი სიტყვის“ წიგნი არ არის საკითხავად ადვილი, თუმცა გატაცებით კი იკითხება. ყველა, ვინც კი შეჩერებია, თუნდაც გაკვრით, თავისუფლების პრობლემას, აღფრთოვანების გარეშე არ მოუსსენებია ქართული თავის-უფალი სიტყვის აღნაგობა და სემანტიკა. მაგრამ არავის უცდია, საგანგებოდ ჩაღრმავებოდა ამ ნამდვილად ლექსიკურ მარგალიტს. ავტორი სამართლიანად შენიშნავს წიგნის შესავალში და, ვეჭვ, ვინმე არ დაეთანხმოს, რომ „არსებობს გენიალური პოემები, გენიალური ტრაქტატები და არსებობენ გენიალური სიტყვები“ (გვ. 5). მახსენდება მორის მეტერლინკის ნათქვამი, ენა უფრო ღრმად აზროვნებს, ვიდრე ადამიანი, თუნდაც გენიალურია. გვაქვს ქართული ენაზე ეს სიტყვა თავისუფლება, რომლის სემანტიკა იმდენად გამფფირვალეა, რომ მეტი სათქმელი თითქოს აღარც კი რჩება: სიტყვა უკვე თავით თვისით ამბელს შინაარსს, ასიტყვებს ისეთ, არცთუ მარტივ კონცეფფტს, როგორიც თავისუფლებაა. თუ სიტყვას ამ კატეგორიის ეპითეტით ვამკობთ, მის ანონიმურ შემემხელზეც შეიძლება იგივე ითქვას, რომ არსებობს ენის გენა, რომელიც მოძრაობს ენაში და გიმხელს ქეშმარიტებას, ხშირად პარადოქსულადაც. ესენია (ავტორი უნოდებს მათ): „კონცეპტუალური სიტყვები“, „ცნებითნი განსაზღვრებანი“, „სიტყვა ცნებები“, „სიტყვა ფილოსოფემები“. ენამ თქვა თავისი სათქმელი, უთხრა მას, ვისაც ინსტრუმენტად მიეცა ეს ენა, მაგრამ თქვა ზოგადად, ზოგადი ჭეშმარიტება, რომელიც დაკონკრეტებას და გაღრმავებას მოითხოვს. ენა ფილოსოფოსი არ არის, მას მხოლოდ აზრის მინიშნება შეუძლია, დანარჩენი ადამიანზეა დამოკიდებული. რას გვეუბნება ეს სიტყვა, თავისუფლება პირველი მიაზლოებით? გვეუბნება, რომ თავისუფალი ადამიანია ის, ვინც „თავის უფალია“. ეს ტავტოლოგიაა ან სიტყვის განშლა, პირველადი ანალიზი: თავის უფალი ნიშნავს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის მართავს თავის თავს გარეშე ძალის, იძულების, კარნახის გარეშე; ფლობა თავისა, შეკავება, თმენა (რუსთველური აზრით), თავის არ მიმეცა სტიქიების („ერიდოდ, ემოციების, ლტოლვების, წუთისოფლის ყოველი წარმმავალი მოხაკრნილის...) ანაბარა. უფლება აქ ნების სინონიმია („უფლება მაქვს" = „ნება მაქვს"). ამაკე დროს, უფლება (უფლობა) ბატონ-პატრონობასაც ნიშნავს და, სიბოლო�sოდ, თავისუფლება თავის-თავის ბატონ-პატრონობას გულისხმობს.

შენიშვნა. ავტორი აყენებს ამ სიტყვის ორიგინალურობის საკითხს: არსებობს თუ არა „სხვა რომელიმე (ეთქვათ, ბერძნული) ენაში ა ზრობრივად მონათესავე სიტყვა, რომელიც შეიძლება ერთვვარ ნიშუოად ჰქონოდა სიტყვა „თავისუფალის" შემოქმედს" (გვ. 6). ქართულ ენაში ბერძნულიდან, განსაკუთრებით, ერისტიანობის ხანიდან მოყოლილული ბევრი ნასესხობა და კალკია შემოსული, მაგრამ „თავისუფალის" ანალოგი ნამდვილად არ ჩანს. არსებობს სანსკრიტში ზუსტად მსგავსი აგებულების სიტყვა sva-pati თავისუფლების სემანტიკით: sva „თავისი", pati „მამა", „პატრონი" – „თავის-პატრონი" (one's own lord). მაგრამ ძნელია ითქვას, რომ ქართულ ენას ნიმუშად სანსკრიტული სიტყვა აიღო, რამდენადაც პირდაპირი კავშირები მათ (ამ ენებსა და მათ მატარებელ საზოგადოებებს) შორის არ დასტურდება. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართულში საკუთრივი გენის ძალით სპონტანურად წარმოიშვა იგი.

მაგრამ ეს საკმარისია? ამას ენა გვაიაზობს. მაგრამ შეგვიძლია ჩვენ ამაზე მეტი ვთქვათ, თუ ავიღებთ ამ სიტყვას პირველად მოცემულობად – როგორც ნედლ მასალას? ავტორის მცდელობა სწორედ ეს არის. მაგრამ იგი სამართლიანად გამიჯნავს ერთმანეთისგან „სიტყვის კელევას" „საგნის კვლევისგან". ის წერს:

> „საქმე არ უნდა წარმოვიდგინოთ ისე, თითქოს თავისუფლების ის გაგება, რომელიც იკითხება სიტყვა „თავისუფალ"-ში, ამ სიტყვის ანონიმი შემოქმედის მიერ მასში იმთავიდან სწორედ ამ სახით და სწორედ ამ აზრით ყოფილიყოს ჩადებული" (გვ. 7).

რასაკვირველია, ამ გამოუცნობ სიტყვათშემოქმედს (ბლატონის ონომატურგოს „კრატილეს-დან") ანუ თავად ენის სულს მხედველობაში არ ჰქონია ტრაქტატი თავისუფლების შესახებ, მაგრამ სიტყვაში უკიდურესი დაწურულობით გამოიხატა დკრიტა მოძღვრებისა თავისუფლების შესახებ. ჩვენი ავტორისთვის სიტყვა თავისუფალი მხოლოდ ბიძგია შემდგომი განაზრებისთვის, რომ მოსდეს მოძღვრების განმლა. იგი მისდევს ამ სიტყვის შემოქმედს ნიმუშად იღები რა ამ სიტყვის დიზაინს. ანუ, შეიძლება ითქვას, აგრძელებს გზას, რომელიც პირველშემოქმედმა შეფენილა. ავტორის მიერ შემოტანილი სიტყვები – „სხვის-უფალი", „სხვის-მონა", „თავის-მონა" იმავე დიზაინით არის წარმოქმნილი, მაგრამ ისინი ენაში არ არსებობენ. ისინი მხოლოდ ჰიპოთეტური, „ა ვთქვათ, სამუშაო სიტყვებია. ბარემ ვთქვათ, რომ ამ საქმეში ავტორი მიჰყვება პლატონისა და ჰაიდეგერის გზას: ერთი თუ ბერძნული ენიდან ამოდის ქეშმარიტების ძიებისას, მეორე – გერმანულიდან. ჩვენი ავტორი, ბუნებრივია, ქართული ენის სტიქიას და შესაძლებლობებს ეყრდნობა. და უნდა ვალიარით, რომ ენამ გაუმართალი მას. არცთუ ბევრია ავტორი, უფრო ნაკლები ლინგვისტთაგან, კიდეც უფრო ნაკლები ფილოსოფოსთაგან, რომლებიც თავიანთ ნააზრევში იყენებენ სიტრმისეულად ქართულ ლექსიკას. უფრო ხშირად დილეტანტურ და თვითნებურ ლექსიკოგრაფიულ ეგზერსისებს ვაწყდებით, რომელთაც არავითარი შეხება წერტილი არა აქვთ არც ლინგვისტიკასთან, არც აზროვნებასთან. ჩვენს ავტორს „ი ენის მორფოლოგიური შესაძლებლობანი საშუალებას აძლევს მნყობრ სისტემად ჩამოაყალიბოს თავისი აზრი „ერთი სიტყვის" პრობლემაზე. მისი ფიქრით, „თავისუფალის" ანალოგიით ხელოვნურად შექმნილი სიტყვა-ცნებები – „თავის-მონა", „სხვის-მონა" და „სხვის-უფალი" – სამივენი თავის-უფლის ანტონიმებია, ანუ თავისუფლის საპირისპირო შინაარსს გამოხატავენ. თუ თავისუფალი ადამიანი უფლობს (ბატონობს) თავის-თავზე, თავისი თავის ბატონია, და ეს არის მისი თავისუფლება, თავის-მონა, როგორც ავტორი განმარტავს, აფეკტებისა და ინსტინქტების ტყვეობაში იმყოფება, ნაცვლად იმისა, რომ იგი, როგორც პიროვნება, ფლობდეს მათ, თავს იკავებდეს მათგან. თავისი თავის წინაშე მორჩილებით გასაკვირა აძლევს რა ბუნებრივ ანუ ბიოლოგიურ-ცხოველურ მიდრეკილებებს, ადამიანი მონობაში ვარდება. თავის-მონობით თავისუფლების დაკარგვა ადამიანს აქცევს სხვისი უფლების საგნად, ინსტრუმენტად ანუ სხვის-მონად. ეს საკუთარი თავის, თავისუფლების გასხვისებაა. აქ მოშველიებულია სიტყვა-ცნება სხვის-მონა, რომელიც თავისთავად, კომენტარების გარეშე, ლაკადებს თავისუფლების საპირისპირო მდგომარეობის შესახებ. მაგრამ ავტორს აქვე, მის გვერდით, შემოაქვს სიტყვა-ცნება „სხვის-უფალი", რომელიც, მისი დისკურსით, პარადოქსულად ასევე თავისუფალის საპირისპირო მდგომარეობის აღმნიშვნელი გამოდგა. ის ეი არის უფალი, მაგრამ არ არის თავისუფალი. ძალაუფლების ინსტრუმენტალიზაცია არამეცეს თავისუფლებას არა მხოლოდ მას, ვისზეც უფლობენ, არამედ მასაც, ვინც უფლობს, რადგან მას ფლობილის გარეშე არსებობა არ შეუძლია, მასზეა „დამონებული". ჩვენი ავტორი უფრო კატეგორიულია, მფლობელ-ფლობილის ურთიერთობა მორალურ განზომილებაში გადაყავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„განვიხილავ რა სხვისუფლობას ანუ სხვის-მონობასა, როგორც ერთ, არსებითად განუყოფელ, ბორბატების იმ უმაღლესი და, როგორც ასეთი, აბსოლუტური სიკეთის მიმართ, რომელის სახელიც „თავისუფლება"-ა, ერთსაც და მეორესაც (სხვისუფლობასაც და სხვის-მონობასაც) ვიერთიანებ, ეითარება არსებითად ერთ ბორბატებად, სწორედ მონობის „არსებით სახელ-ვეებ" (გვ. 26). „სხვისუფლობა ბორბატებაა" (გვ. 26).

„სხვისუფლობა არაა თავისუფლება, – არაა, რადგან იგი სხვისი თავისუფლების დათრგუნვაა, ანუ ამ სხვის პიროვნებაზე ძალადობა, და, როგორც ასეთი, მაშასადამე, – ბორბატმოქმედებაც [...]. უნდა გვახსოვდეს ამასთან, რომ სხვისუფლობის სისტემა იგივე სხვისმონობის სისტემაა, სადაც, არსებითად, ყველა მონაა, დამონებულიც და დამმონებელიც, ყველა, მართალია, თავთავისებურად, მაგრამ მაინც არსებითად ერთი და იმავე სულით მონობისა სულდგმული" (გვ. 57).

შესაძლებელია, მართლაც თავისუფლების სული არ ტრიალებდეს ამ სისტემაში, – დაესაქცენ ჩვენ, – რამდენადაც სხვის-უფალი სხვისმონობის მოსურნეა და მისი თავისუფლების ხარჯზე ზრდის უფლობას, რითიც ის დასტურს სცემს მონობის ფაქტს მის ყველა გამოვლენაში, როგორც დამონებულში, ისე დამმონებელში, რადგან დამონებელის (ანუ სხვის-უფლის) მადა დამონებულით ანუ სხვისი მონობით იკვებება. სხვის-უფალი, ამ აზრით, აუცილებლად ამხელს მონას, როგორც სხვის-მონას. ავტორი ამოდის იმ პრეზუმფციიდან რომ სხვის-უფალი, ანუ სხვა ტერმინით, რომელიც მისი საზრისის იგივეობრივია, ხელის-უფალი, მოძალადებრივად, სხვისი ნების სანინააღმდეგოდ უფლობს, მართავს... მაგრამ ვინ არის ეს სხვა? აქვს მას ნება, ანუ, უფრო სწორად, აქვს უნარი თავისი ნების რეალიზაციისა? სხვის-უფალი ვითომ ერთმეორეს თავის-უფლებას სხვას, მაგრამ როგორ წაართმევს, როცა თავისუფლება, როგორც თავის-უფლის მდგომარეობა, ეკსისტენციალური კატეგორიაა და ის ადამიანს ახლავს, ან არ ახლავს – მისი წართმევა კი წარმოუდგენელია? სხვის-უფალს თუ ხელისუფალს („ძალაუფალს") შეუძლია მხოლოდ პოლიტიკური (უფლებრივი) თავისუფლება წაართვას ადამიანს, მაგრამ განა ძალუძს მას შეეხოს ადამიანის თავისუფლებას იმ აზრით, რაც მასში ჩვენმა აეტორმა ითავითვეე ჩადო? მოვიხმობთ თავად მის სიტყვებს: „ის, რომ, ვიმეორებ, ადამიანი უფლებრივად თავისუფალია, ჯერ კიდევ სულაც არ გვითითებს, რომ იგი უკვე არის კიდევ თავისუფალი, ნამდვილად თავისუფალი... განა არ გვინახავს, ან არ გვსმენია, რომ ადამიანები, თავისუფლების საზოგადოებრივ პირობებში მცხოვრებნი, თვითონ, პიროვნულად, ნამდვილნი მონანი ყოფილნან, ჭეშმარიტად „თავისუფალნი მონანი", პირველ ყოვლისა, ცხადია, მონანი – საკუთარი თავის (თავის მონანი)..." შევაბრუნოთ მსჯელობა თავის-უფალი, ეკსისტენციალურად თავისუფალი ადამიანიდან ამოსცლილი. განა არ გვსმენია, არ გვინახავს, რომ ტირანული სახელმწიფოში თუ საზოგადოებრივ პირობებში ადამიანს შეუნარჩუნებია თავისუფლება, ანუ არ ყოფილა თავის-მონა? გარეუფლებრივად ის, შესაძლოა, ყოფილიყო სხვის-მონა, მაგრამ არ ყოფილიყო თავის-მონა ეკსისტენციალურად. ეს ხომ თავისუფლების სრულიად განსხვავებული კატეგორიაა. ის სხვის-მონაა სოციალურად, მაგრამ თავისუფალია შინაგანად, როგორც ქრისტიანი მონა ანუ ქრისტეს მონა, ეის პრინციპულ თავისუფლებაზეც მოციქული პავლე ლაპარაკობს. „სასეიდლით სეიდულ ხართ, ნუ იქმნებით მონა კაცთა. კაცად-კაცად, რომელსა ჩრინენით, ძმანო, მას ზედაცა ეგენით ღმრთისა მიერ" (1.კორ. 7:23-24). იგულისხმება, რომ ქრისტესგან გამოსყიდული ადამიანი, რომელიც ნოდებულ იყო (ბერძ. ეკლეთე) მონად, მონადვე რჩება სოციალურ იერარქიაში, მაგრამ თავისუფალია ეკსისტენციალურად. პავლე მიმართავს ქრისტესგან გამოსყიდულთ: „და ცოდვა თქუენ ზედა არა უფლებდეს" (რომ. 6:14). ამრიგად, მისი თავის-უფლება მხოლოდ და მხოლოდ თავის დაბალ ბუნებაზე (ვნებებზე და ქვენა გრძნობებზე, ყველაფერზე, რაც ცოდვის წყაროა) ბატონობაში მდგომარეობს*.

დაისმის კითხვა ავტორისგან შემოთავაზებული ამ ხელოვნური კომპოზიტის - *სხვის-უფლის*, როგორც ტერმინის, ლეგიტიმურობის შესახებ. თავად სინთეტური ტაბყვა-ცნება უფალი, გინა ბატონი, გინა პატრონი, ხომ გულისხმობს უკვე თავისთავში *სხვას*, როგორც მამა აუცილებლობით გულისხმობს შვილს? უშვილო მამა ნინააღმდეგობრივია, როგორც უმამო შვილი. უფალიც არ არსებობს იმ სხვის გარეშე, რომელზეც უფლობს, რომელსაც ნინამძღვრობს, რომელზეც ზრუნავს (პატრონის სტატუსში) და ა. შ. ანუ ამორეცილებს „უფალში" ნაგულისხმეე ქმედებებს. და თუ ჩვენი ავტორის კვალზე სხვის-უფალს ოდიოზურ არსებად მივიჩნევთ, ასევე ოდიოზურად უნდა მივიჩნიოთ უფალ სიტყვით გამოხატული რეალობაც, რომელსაც საზოგადოებაში ინტოლოგიური არსებობა აქვს. ეს მხოლოდ ფსიქო-ცნობიერებითი ცნება არ არის, ის ონტოლოგიურად არსებობს, როგორც საზოგადოების სტრუქტურული ნაწილი. დაწყებული პლატონიდან და არისტოტელედან, ხელისუფლება (სხვისუფლობის სინონიმი) განიმარტება როგორც განსაკუთრებული ურთიერთობა ადამიანებს შორის. ძალაუფლება გულისხმობს უნარს, რისი მეშვეობითაც

* - შდრ. „ცოდვა ჩასაფრებული კართან და შენკენ აქვს მას ლტოლვა, და შენ იბატონე მასზე" (დაბ. 4:7).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანი საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს თავის ნებას, განაგრძობს მას, თავზე ახვევს ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს. დიონოტომია „ბატონი-მონა" სათავეს პლატონისა და არისტოტელეს ნააზრევში იღებს. ძალაუფლების თავად მოვლენა, რომ ერთი ემორჩილება მეორის ნებას, საიდუმლოებრივია. რაგორმ უნდა დაემორჩილოს? მაგრამ, რაც ისტორია არსებობს, არსებობს ბრძანება-მორჩილებაც, როგორც სოციალური მოვლენა. თუ არსებობს მბრძანებელი, ანუ თავისი ნების სხვებზე განმგრცობი, არსებობს მორჩილიც, ბრძანების აღმსრულებელი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი. არისტოტელე გარკვევით, არაორაზროვნად ამბობს: „მბრძანებლობა და მორჩილება არათუ აუცილებელია, არამედ სასარგებლოც არის. ზობითგანვე ზოგიერთი არსებანი განსხვავდებიან იმ აზრით, რომ ერთნი მიდრეკილნი არიან მორჩილებისადმი, მეორენი მბრძანებლობისადმი..." (პოლიტიკა, 1254a). ამასვე ამბობს მაქს ვებერი მრავალი საუკუნის შემდეგ. მისი განმარტებით, ძალაუფლების (ანუ სხვისუფლების) შესაძლებლობა არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გარკვეული ჯგუფში ადამიანებისა არსებობს „ნება", დაემორჩილოს სპეციფიკურ (ან ყოველგვარ) ბრძანებას. ვლაპარაკობთ სხვისუფლობაზე, მაგრამ არაფერს ვამბობთ იმაზე, თუ რა ქმნის ამ უფლობას – უსამართლოდ და ძალადობით აქვს მოხვეჭილი ეს უფლება-უფლობა სხვის-უფალს თუ, როგორც არისტოტელე ამბობს, სხვისი აუცილებლობისთვის და სასარგებლოდ არის მოწოდებული? ამ თვალსაზრისის შუქზე მეორე მხრიდან შეეხედოთ სიტყვა-ცნებას სხვის-უფალი. ვინ არის ეს სხვა? ხომ არ არის ეს ის არსება, რომელიც თავის-მონის კატეგორიაშია მოსაქცეები? რადგან ვიცით, რომ თავის-მონა იმავდროულად სხვის-მონაცაა ან მზად არის, იყოს. მეორე მხრივ, სხვის-უფალი შეგვიძლია გაეიგოთ, როგორც სხვაზე პასუხისმგებელი (ფართო აზრით). იგულისხმება, რომ თავად ეს სხვა, რომელიც, როგორც თავისუფლებას მოკლებული, თავის თავზე არ ან ვერ აგებს პასუხს. ის გაურბის პასუხისმგებლობას, რომელიც მოითხოვს ნიჭს, ცოდნას, პროფესიონალიზმს, რაც მთავარია, ჟამის (ბერნნ. კაროს) განცდას და გადაწყვეტილების დროულად მიღების უნარს, რომ განგაზოგადოთ – მონოდებას. სხვანაირად ამ თვისებების (და კიდევ სხვათა) ერთობლიობას, რომელიც ავტორიტეტით მოსავს სხვის-უფალს (ხელისუფალს, ბელადს, წინამძღოლს – რაც უნდა დავარქვათ), კარიზმას ვუწოდებთ. ასეთ შემთხვევაში უფლობა არა იმდენად ბატონობას და მბრძანებლობას, არამედ პატრონობას ნიშნავს. სავსებით ლეგიტიმური იქნება, თუ ამ ურთიერთობას, რომელსაც სხვისუფლობა ქმნის, არა თავისუფლება-მონობის, არამედ პატრონყმობის სიტყვაში განვიხილავდით. როგორც პატრონი არ არსებობს ყმის (ქვეშევრდომის) ანუ საპატრონეს-ლის გარეშე, ასევე სხვისუფლება, ხელისუფალ-ს (სხვის-მორჩილების აზრით) გარეშე არ არსებობს. უერთმანეთოდ ისინი არ არსებობენ, ისინი ერთმანეთს გულისხმობენ. არ უნდა დავინახოთ „უფალში" მაინცდამაინც ტირანი, მოძალადე, დამმონებელი, რადგან ის, ვისაც სხვისმონად ვთვლით, არ შეიძლება უფალს (პატრონს) არ ემორჩილებოდეს, რადგან მას სხვაგვარყოფნა არ ძალუძს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავაფიროთ, რომ თუ ვისმე გაუჩნდა მბრძანებლობის ნება საჭიროების შემთხვევაში, მას იმის მოლოდინიც ექნება, რომ მის ნებას დაემორჩილებიან. ცალკე არც მბრძანებელი არსებობს და არც მორჩილი, ისინი ერთმანეთს გულისხმობენ, ამიტომ მაც ისინი, როგორც განუცალკევებელი ერთიანობა, ერთ მოუელნად ზენა ეგზისხილოთ. ეს ერთიანობა არა იმდენად ფსიქოლოგიური ხასიათისაა, რამდენადაც ონტოლოგიური. არ მოითხოვს რთულ სოციოლოგიურ ნიალსეულებს იმის დადასტურება, თუ რაოდენ აუცილებელია სხვის-უფალი ხალხთა ნებისმიერ ერთობაში (სახელმწიფო, საზოგადოება, ეკლესია, ოჯახი...). საკმარისია, წარმოვიდგინოთ ნებისმიერი ლაშქრობა (სამხედრო თუ მშვიდობიანი ექსპედიცია, მოგზაურობა, თუნდაც სასკოლო ექსკურსია...), რომ დავრწმუნდეთ ავტორიტეტული, გინდაც ქარიზმატული, წინამძღოლის აუცილებლობაში. ყოველ ჩვენგანს განუცდია ამის საჭიროება, როცა სავალი გზისა და ბილიკის არჩევა თუ გაკვლევა გამხდარა საჭირო. წინამძღოლი, გინდ მბრძანებელს, ისტორიულადაც საგანგებო, კრიზისულ ვითარებებში უჩენია თავი. ყველას გვიგრძენია, თუ როგორ მოგვიხსნია პასუხისმგებლობა და მასზე დაგვიმყარებია სამშვიდობოზე გასვლის იმედი. ამასთან დაკავშირებით, უნდა ითქვას შემდეგი: ყველგასულად უნდა ჩაითვალოს ძველი იდეა პირველყოფილი ხელისუფლების მაინცდამაინც ტირანული ხასიათის შესახებ. აზრი იბრეგნა იქითკენ, რომ ხელისუფლება თავის გენეზიისში დემოკრატიული იყო. ქალაქი, ქვეყანა, დემოსის წარმომადგენლობის მეშვეობით იმართებოდა. ხელისუფლება დამოკიდებული იყო არა ძალაზე, არამედ გამოცდილებაზე (გერონტოკრატია – უხუცესთა საბჭო). უხუცესები განაგებდნენ ქვეყანას არა იმით, რომ ძლიერები იყვნენ, არამედ რჩევის უნარით. სემიტი მოდგმის ხალხებში მეფის აღმნიშვნელი სიტყვა „რჩევასა" შეიცავს (მალიქ, მელეკ... „მრჩეველი"). უხუცესთა რჩევა პრეცედენტებს ეყრდნობა, მაგრამ კრიზისულ ვითარებაში, როგორც შუმერის წერილობითი წყაროები გვამცნობენ, როცა რჩევა უძლური იყო, მხედრობას სათავეში ქარიზმატული ლიდერი ჩაუდგებოდა. არაორდინალური გადაწყვეტილების მისაღებად, ხშირად კიაროსის განცდით. ეს ვითარება კარგად გამოხატა ნიკოლოზ ბარათაშვილმა სიტყვებით, რომლებიც ნაპოლეონს ათქმევნია: „ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი". ქარიზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატყვი სხვის-უფლლობისას ძირითადი აქცენტი სწორედ სხვის-უფალზე მოდის, ნაკლებად სხვის-მონაზე. თუმცა არსებითია ისიც, რომ სხვის-მონის შემხვედრი ნაბიჯების გარეშე ქარიზმატული ხელისუფალი უქმლურია, ოდენ ქარია მისი სიტყვა-ქმედება. ქარიზმას ისევ და ისევ მისი მომლოდინე სხვის-მონები აძლიერებენ, „ასუქენენ", როგორც ერთ ირანულ ტექსტშია.

მ. ნანეიშვილს მოპყავს მაკედონიის ძლევამოსილი მეფის ანტიგონოს გონიტას (იქ. წ. IV-III სს) გამონათქვამი სამეფო ხელისუფლებაზე, როგორც „ეკეთილშობილ მონობაზე"; ასევე ფრიდრიხ დიდისა – როგორც „სახელმწიფოს პირველ მსახურზე". ანალოგიური იხვლისელი იურისტის ჯონ სელდენის (John Selden, 1584-1654) კუნძულად ნათქვამი, რომ „მეფე არის საგანი, რომელსაც ადამიანები თავისი საფიროებისთვის ქმნიან, რათა მშვიდად იყვნენ. ისევე, როგორც ოჯახში ერთი კაცი უნდა იყოს გამწესებული საკვების საყიდლად". ეს არის სნორედ ის, რასაც არისტოტელე ამბობს ხელისუფლის აუცილებლობასა და სარგებლობაზე, პირველ რიგში თავად „სხვის-მონათათვის". დავიქნთ, რომ სხვისუფლობა თავისუფლების სანონაალმდეგო რამ კი არ არის, არამედ სხვისი ნინამძღოლის ფორმაა. კანონქეეშ ყოფნა იყოს, თუნდაც მბრძანებლობა იყოს, ეს სხვა უფლობის, თუნდაც მბრძანებლობის ქვეშ მყოფი ინარჩუნებს თავის-უფლებას ეკსისტენციალური აზრით, რაც უფრო ღირებულია, ვიდრე სოციალურ-პოლიტიკური თავისუფლება. აკი თავად აეტორიც ამბობს, რომ „სხვისი თავის-უფლების დათრგუნვა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ შეუძლებელია მისი „წართმევა" და „მითვისება" (გვ. 41), და უფრო მეტიც: „ადამიანი, „კანონით" თავისუფალი, პირადად, სინამდვილეში შეიძლება სულაც არ იყოს თავისუფალი" (გვ. 51). არ ეგების პოლიტიკური და ეკსისტენციალური, პიროვნული, თავისუფლების ერთმანეთში აღრეკა. პირველს კანონი ანიჭებს, მეორეს – ღმერთი, რომლის ხატადაც შეიქმნა ადამიანი.

შენიშვნა. როცა ჩვენი ავტორი ლაპარაკობს ძალაუფალზე, რომელსაც მამა ახორციელებს თავისი არსარულნლოვანი შვილების მიმართ მათ სიპაბერშეხვედად და სასნავლებლად (გვ. 161), ჩანს, მისთვის მამა, როგორც ძალაუფალი ან ოჯახის ხელისუფალი, pater familias, არ არის მოქცეული სხვის-უფლის არასასურველ კატეგორიაში, თუმცა ის შვილების მიმართ განუსაზღვრელი უფლების განმახორციებელი სხვისუფალია. გაანა ბავშვები მისი სხვანი არ არიან? ბავშვს, რომელსაც ძველი ქართული ძეგლები „ყრმად" მოიხსენიებენ, ისევე ესაჭიროება პატრონობა (გამოვიყენოთ სიტყვა „უფლობა") მამისგან, როგორც ყმას – ბატონ-პატრონისგან. ზედაპირზე ძევს ამ ორი სიტყვა-ცნების სემანტიკური ერთიერთ თდამოკიდებულება: თუ ერთი (ყრმა) ასაკით მოუმწიფებელია, მეორე (ყმა) – სოციალურად არის უმმნიფარი; საერთო კი მათთვის ის არის, რომ ორივენი ზრუნვა-პატრონობას მოითხოვენ. ძველი ალმოსაელეთის მბრძანებლებს დესპოტ-ტირანობის იმიჯი აქვთ პოპულარულ ნარმოდგენებში, თუმცა მათივე თვითალიარებით, თვითშეფასების შკალაზე უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს პატრონობის ორგანულ ფუნქციას – ზრუნვას. აი, რას ამბობს ბაბილონის იმპერატორი ხამურაბი თავისი ხელით გამოცემული კანონების ეპილოგში: „მე ვარ ხამურაბი, მეფე სრულყოფილი, შავთავიანთა მიმართ, რომლებიც ენლილმა ჩამბარა, რომელთა მწყემსობა მარდუქმა მომანდო, უზრუნველი არ ყოფილვარ, არ დავზარებულვარ..." და ეს ფრაგმენტი აქადური ეპოსიდან – „რა არის ხალხი უმეფოდ მთენილი? – ოდენ ცხვრის ფარა უმწყემსოდ მთეკილი", რომელიც მეფის ხელისუფლების ფუნქციის განმარტავს, რეალური ფაქტის კონსტატაციაა და არა ხელისუფლობის ცინიკური გამართლების მცდელობა, როგორც, შესაძლოა, ვინმემ წარმოიდგინოს.

კიდევ ერთი ასპექტით შეგვიძლია შეეხედოთ სხვის-მონას, რომელიც თავის-უფლის საპირის-პირად, სოციალური კატეგორიის ტერმინია, არა ეკსისტენციალური, თავის-უფლისგან და თავის-მონისგან განსხვავებით. სხვის-მონა შეიძლება ემორჩილებოდეს სხვის-უფალს (აქ სხვა ერთი და იგივე პირია), მაგრამ ის შეიძლება იყოს თავის-უფალი. მორჩილებდეს სოციალურად, მაგრამ ეკსისტენციალურად თავის-უფალი, თავის-თავადი იყოს. ბერდიაევი წერს: „ამბობენ, რომ ხუნდებში მყოფი ადამიანი შეიძლება შინაგანად თავისუფალი იყოს (კლასიკური მაგალითი პლატონია, რომელიც ორგზის იყო მონად გაყიდული, ზ. კ.)... ეს მართალია. ადამიანი შეიძლება იყოს მონა არა მხოლოდ გარე სამყაროში, არამედ თავის თავისა, თავისი დბალი ბუნებისა. მონების გათავისუფლება საზოგადოებაში არ ნიშნავს მის გათავისუფლებას შინაგანი მონობისგან. ადამიანი რჩება შინაგან მონად". რასაც ბერდიაევი ლაპარაკობს აქ ადამიანის შინაგან თავის-უფლებაზე, სწორედ ამ მომენტს გამოხატავს ქართული სიტყვა თავის-უფლება. ისევე, როგორც ადამიანში არის შესაძლებლობა თავის-უფლებისა, თავის-უფალი აქტივობისა, ასევე არის მასში თავის-მონობის შესაძლებლობაც. ჩვენი ავტორი იმასვე ამბობს, რასაც ბერდიაევი: „თავის-უფლება არის ადამიანის შინაგანი ენერგია", ეს მხოლოდ შესაძლებლობაა და დარჩება შესაძლებლობად, სანამ საქმეში რეალიზებული არ იქნება. ხერს კი თავის-უფალება მასის ადამიანს? ესნრაფის კი მას? თუ ისევ და ისევ მორჩილება ურჩევნია... სხვის-მონობაში ის

მყუდროდ გრძნობს თავს. ასეთ ადამიანს ერთი სული ექნება, გათავისუფლდეს თავის-უფლებისგან... პარადოქსია? არაბუნებრივია? მაგრამ ასეა. ამას ყოველდღიურად ვანყდებით. განსაკუთრებით, საზოგადოებრივ-სახალხო მეღელვარებისას, როგორიც იყო ჩვენი ეროვნული მოძრაობა, როცა ცალკეული ადამიანს თავის-უფლების დემოსტრაციის ძალა არ შესწევდა. ამასთან, ბოლომდე ცხადი არ არის ავტორისთვის – მიუღებელია საერთოდ სხვის-უფლება, როგორც ძალადობრივი მოვლენა თავისი არსით, თუ მხოლოდ მისი ბორტგან გამოყენება, რომელიც ხშირად თან სდევს ხელისუფლების (იგივე სხვისუფლების) რეალიზაციას? ხელისუფლება რომ აუცილებელი „ბორტგბაა" აქტუალურ ეპოქაში, ვგულისხმობ ამ წუთისოფელს, სადაო არ უნდა იყოს. და თუმცა არის ჩაგარდნები, კატასტროფულად გადაგვარებული ხელისუფლების შემთხვევები ისტორიაში, მაგრამ ეს ხარვეზები ისევ და ისევ ამ წუთისოფლისაა, რომელიც ითანე მოციქულის სიტყვით „ბორტგსა ზედა დგას". არსებობდა ფორმაციები – შორეული მონათმფლობელური და უფრო ახლოპელი, პატრონყმული, თითქმის ვუშინდელი, „ეეფხისტყაოსნის" მეოხებით ჩვენს ცნობიერებაში დღემდე ცოცხლად შემონახული, და როგორც ჩვენი ავტორი სამართლიანად ფიქრობს, უნდა ვიცავდეთ „დროში შეუქცევადობის პრინციპს" და ამიტომაც ჩვენი დროის გადასახედიდან არ უნდა განვსახიდეთ არც მონათმფლობელურ და არც, მით უფრო პატრონყმყოფ ფორმაციას, რომლის უკუფენა რუსთაველის პოემაში დღემდე აღგვაფროთოვნებს. თუმცა ჩვენი ავტორი ჩვენი დროის ლიბერალურ-დემოკრატიული საზომებით განსჯის მათ, როგორც „ზნეობრივად მანკიერ და უფლებრივად დანაშაულებრივ ბუნებას" და დასძენს, რომ „და მეც ამ წიგნში სწორედ ეს მაქვს უპირატესად მხედველობაშიო" (გვ. 58, შენ. 12). გვაქვს კი ამის უფლება და რამდენად ობიექტურია ამგვარი შეფასება? მ. ნანეიშვილი თავის ამ ვერდიქტს პროგრესის საეჭვო იდეაზე აფუძნებს. ამ იდეის მიხედვით მთელი კაცობრიობა ლიბერალურ-დემოკრატიულ ხანამდე საზოგადოებრივ მანკიერებაში იყო ჩაფლული, უფრო მეტიც, ასეთი ყოფა, საზოგადოებრივი ფორმაცია დანაშაულებრივი იყო. პროგრესის იდეა ზემოდან ყურებით ყოველ ნარსულს, მომლიც იმადროოულად ვიღაცის აწმყოა, არასრულყოფილად მიიჩნევს და იქმნება ილუზია, თითქოს ყოველი აწმყო სრულყოფილების გზაზე არასრულყოფილების კომპლექსს განიცდიდა. სინამდვილეში კი ნაკლოვანების განცდა მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, როცა ადამიანმა იცის, რა არის სრულყოფილება. ეს მან მხოლოდ იდეების საუფლოში მისი პროფეტული ჭვრეტით ან მისი დაკარგვის შემთხვევაში შეიძლება გაიგოს. შეგვიძლია დავეთანხმოთ თვალსაზრისს, რომ თავისუფლება, როგორც ავტორი წერს, არის „პროგრესულად თვითვლენადი" ანუ ეს „თვითვლენადობა" პროცესია, რომელსაც საბოლოო მიზნად თავისუფლების სრული გამოვლენა აქვს. ამაზე მხოლოდ შეიძლება ის ვთქვათ, რომ თავისუფლების, როგორც თავის-უფლების, იდეა ელიტარული იყო „ვეფხვისნაწყლარდენ" თავის-უფლებისთვის. აქ უნდა მოვიშველიოთ სერენ კირკეგორი, რომელიც განარჩევს ადამიანის სამ მდგომარეობას და, იმაგიროოულად, ადამიანის სამ ტიპსაც და სრულიადაც არ მიიჩნევს აუცილებლობად, რომ ყოველი ადამიანი, რომელიც ესთეტიკურ საფეხურზე დგას, ანუ თვითკმაყოფილია და მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის და კეთილდღეობისთვის ცხოვრობს, „ვეფხვისნწყლარებამ" აიყვანოს მეორე საფეხურზე, სადაც ის მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობით აღივსება. არაფერს ვამბობთ მესამე, რელიგიურ საფეხურზე, ჩვენ მხოლოდ ანალოგიისთვის მოვიყვანეთ დანიელი მოაზროვნის სქემა, რომ იგი თავისუფლების იდეისთვის მიგვესადაგებინა. რას ვგულისხმობთ? როგორც ესთეტიკურ სტადიაზე ადამიანი „ვეფხვისნწყლარებამდე" სრულიიად კომფორტულად გრძნობს თავს და არავითარ ნაკლულებას არგაინცდის, ასევე ადამიანი, რომელიც ცხოვრობს, არსებობს, როგორც სხვის-მონა/მსახური, არ ფიქრობს უკეთეს სტატუსზე, რომელიც დაკაბყოფილებდა მის, როგორც ღვთის ხატის, ანუ შექმნილ-ნაგვა თავის-უფლის, შინაგან ხმას, რადგან ის, რაზეც მან უნდა იფიქროს, მოისაკლისოს, ჯერ არ გაღვიძებულა მასში, მხოლოდღა გაუცნობიერებელი შესაძლებლობის სახით არსებობს. არიან ადამიანები, რომლებიც ამგვარი მდგომარეობით კმაყოფილნი არიან და არც კი წარმოუდგენიათ, რომ სხვაგვარი პოზიციაც არსებობს. მაგრამ რაც ჯერ, „ვეფხვისნწყლარებამდე", ჰორიზონტზე არ ჩანს, არც არსებობს. და როგორც ჩვენი პოეტი იტყვის, „არყოფილზე სინანული არასოდეს ითქმის". მაგრამ, როცა ის აღმოაჩენს თავის თავს, როგორც დამოუკიდებელს, რომლის უფალი შეუძლია თავად გახდეს, ის ადის ეთიკურ საფეხურზე, როცა მის ცხოვრებას მოვალეობა და პასუხისმგებლობა განსაზღვრავს. მაშინ იპოვებს იგი თავის-უფლებას, ეს კი მას აძლევს უნარს გასცეს საკუთარი თავი სხვის სამსახურად არა როგორც სხვის-მონამ, არამედ როგორც სხვის-მსახურმა. ემსახურო სხვას, ჩვენი ავტორის ტერმინით, სხვის-უფალს მოვალეობის შეგნებით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხისმგებლობით, არც „მანკიერებაა“ და არც „დანაშაული“. ასეთი ადამიანები არსებობენ დღესაც, მაგრამ მათი სამშობლო ის ფორმაციაა, რომელსაც პატრონყმობით მოვიხსენიებთ, ხშირად არცთუ დადებით დისკურსში, ყოველ შემთხვევაში ლიბერალიზმისთვის მარტო სიტყვაც კი ოდიოზურად ჟღერს. მაგრამ მასში კეთილშობილების და სხვისთვის თავგანწირვის აქტები. ყმის მდგომარეობა არ არის მდგომარეობა მონისა, რომელიც, შესაძლოა, უფლისგან იძულებით სპობდეს თავის-უფლებას. ყმა უფლის სამსახურისთვის ნებაყოფლობით გაიღებს თავის-უფლებას, სხვაგვარად, თავს-იდებს სხვის სამსახურს და თავად ეს სიტყვა „თავს-იდებს“, „თავდადება“ (და მისგან ნაწარმოები სიტყვები) არა ნაკლები ეკსისტენციალური რიგისაა, როგორიც არის თავის-უფლება. („ცოდვილთათვის ჯვარცმა თავს-იდევ“, „უენებელმან მან ვნება ჩვენთვის თავს-იდვა“ და სხვა მრ.). თავს-დება ისეთივე აუცილებლობით გულისხმობს პასუხისმგებლობას, როგორც თავის-უფლება. თავსმდები ისევეა აღვსილი პასუხისმგებლობით, როგორც თავის-უფალი. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ თავდადება აქტია, თავისუფლება – მდგომარეობა, რომელიც, ჩვენი ავტორის სამართლიანი აზრით, ჰიტენციურად შეიცავს ქმედებასაც, რომლის ერთ-ერთი სახე სწორედ თავს-დება და თავდადებაა (რაც თავისმონოფის საწინააღმდეგო აქტია). პატრონყმეულ ურთიერთობაში, რომელიც რუსთველის პოემის სამოქმედო ასპარეზია, ყმა ისევე პასუხისმგებელია პატრონის წინაშე, როგორც პატრონი ყმის წინაშე. გავიხსენოთ როსტევან-ავთნდილის და ავთანდილ-შერმადინის ურთიერთობა. თუ ჩაეუკვირდებით მათ ურიერთობას და მათ, როგორც ინდივიდუუმთა ნების გამოვლინებებს, უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი სხვის-უფალნი არიან და სხვის-მონანიც და ეს მათი პოზიციები არ გამორიცხავს, რომ ისინი, იმავდროულად, თავის-უფალნიც იყვნენ. განა ავთანდელი – როსტევანის მონა (ყმა), რომელიც თავის მხრივ უფლის მონაა, თავის-უფლებით არ ტოვებს არაბეთს, რითაც თავისი უფლის რისხვას იმსახურებს? განა ანდერძი, რომელსაც, ტრადიციის საპირისპიროდ, უმცროსი უფროსს უტოვებს, მისი ავტორის თავის-უფლების გამოხატულება არ არის? ამ თავის-უფლების აზრით გვესმის მისი სიტყვები „ანდერძიდან“: „არ ვეშიკეთ მტერთა ჩემთა, თავი მონად მომიმონდეს“, რომლის მეორე ხანის ბნკარედელი „თარგმანი“ ასეთი იქნება: „თუ ჩემი თავი მონად მეყოლება (ანუ ჩემ ხელთ იქნება)“.

ყველა ასპექტს თავისუფლების პრობლემისა, რასაც ჩვენი ავტორი ულრმავდება და განავრცობს ხსენებული სიტყვა-ცნებებიდან ზეშოსკენ, ჩვენ ვერ შევეხებით, ოღონდ გვსურს ორიოდე სიტყვა ვთქვათ თავის-უფლის (თავისუფალი ადამიანის) დამოკიდებულებაზე სოფელთან. რამდენადაც თავად ხსენებული სიტყვა სოფელი ეტიმოლოგიურად (ავტორი ვარაუდობს, მაგრამ არ ცდება) უფლება-ფლობასთან (*სა-უფალ) არის დაკავშირებული, მის ცნებით შინაარსს ამგვარად აყალიბებს ავტორი:

„სოფელი, ამ სიტყვის ნამდვილი, საკუთრივი გაგებით, მაშინ დაიბადა, როდესაც სოფლად დაიბადა ადამიანი, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანის სოფლად დაბადება თვითონ ამ სოფლის დაბადებადაა სააზრებელი“ (გვ. 122).

და კიდევ:

„სოფელი ქვეყანაა, ადამიანის მიერ კულტურულად დაუფლებული და მით მის კულტურულ საუფლოდ მექმნილი“ (გვ. 123).

აქედან ერთი დასკვნა გამოდის, რომ სოფელი თავის-უფლის ანუ თავისუფალი ადამიანის სა-უფალ-ო-ა. ადამიანი ისევე უფლობს გარეუნებას, თავის სხეას, რომელიც მას (ამას ამბობს ბიბლია) საუფლოდ მიეცა (დაბ. 1:28), ისევე იმორჩილებს თავის შინა ბუნებას, ასევე თავის სხეას. როგორც ადამიანია გათავისუფლებული ბუნება (გვ. 121), ასევე სოფელი არის ადამიანის ნელით გათავისუფლებული ბუნება. და თუ, დავძენთ ჩვენ, ადამიანი ამ შემთხვევაში სხეის-უფალია, რადგან მისთვის, როგორც სულიერი არსებისთვის, მისი შიდა ბუნება (როგორიც არის „ინსტინქტური კაცი“) სხვა (მისი სხვა) არის, და, მით უმეტეს სხვა არის მის გარეთ მყოფი ბუნება, რომელიც ადამიანის შიდა ბუნებასთან ერთად გათავისუფლებას მოელის**. აქედან გამომდინარე, ადამიანი, როგორც სხვის-უფალი, რომელიც ჩვენმა ავტორმა მუქ ფერებში წარმოგვისახა, ვითარცა ბოროტების მატარებელი და დამნაშავე, ამ პროცესში, რომელიც ორთა ბუნების (შიდას და გარეს) გარდაქმნას გულისხმობს, თავისი უარყოფითი იმიჯისგან სავსებით რეაბილიტირებულია.

დასასრულს, გვსურს მიხეილ ნანეიშვილის კვალზე, სოფელთან თავისუფლის (თავისუფლების) შინაგანი კავშირის საილუსტრაციოდ მოვიხმოთ კიდევ ერთი (ქართულისა და სასკრიტის შემდეგ) გენიალური სიტყვა-კომპოზიტი, რომელიც სწორედ ამ კუთხით წარმოგვიჩენს თავისუფლების ფენომენის სიღრმისეულ გაგებას, როგორც ეს ესმოდა ერთი უძველესი კულტურის ხალხს, სახელდობრ, შუმერლებს. ტყვეობისგან თავდახსნილი შუმერელი არ ითვლებოდა თავისუფალ

** - უფერო მაღალ საფეხურზე ანაგოგიურად, თუ თეოზისის ენაზე გადაეთარგმნით, ეს იგივეა, რასაც პავლე მოციქული ამბობს ქმნილებაზე, რომ „ათ თ იგიცა დაბადებული განთავისუფლდეს ხრწნილებისა აზნაურებასა მას დიდებისა შვილთა ღმრთისასა...“ (რომ. 8:21 და შმდ.).

ადამიანად, სანამ არ შინ არ დაბრუნდება და დედის კალთაში არ ჩარგავდა თავს. *ამა-არ-გი* „დედასთან დაბრუნება“ თავისუფლების კონცეპტის მეტაფორული გამოხატულებაა. დედა განასახიერებს ქალაქს, მოქალაქენი კი ერთი მრავალშვილიანი დედის (*ამა-დუმუ-დუმე-ნუ*) შვილები არიან. შუმერული ქალაქის მოქალაქე არა სხვაგან სადმე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ თავის სამშობლო ქალაქში, დედულეთში, და მასთან ერთად არის თავისუფალი, ქალაქში, სადაც ის ჰპოვებს თავის დანიშნულებას, თავისი ძალების, თავისი ინტერესების და, თუნდაც, თავისი არსების, როგორც ადამიანობის (*ნამ-ლუ-ულუ*), რეალიზაციას. ასე რომ, რამდენიც უნდა იხეტიალოს „თავისუფლად“ ტყვეობისგან თავდახსნილმა ადამიანმა, თავისუფალი მას არ ეთქმის და თავადაც ვერ იგრძნობს თავს თავისუფლად, ვიდრე არ დაბრუნდება. და ამ ადამიანისთვის, რომელიც დედა-ქალაქისკენ (ამ სიტყვის არა პოლიტიკური გაგებით) მიისწრაფის, თავისუფლება, როგორც უმაღლესი ღირებულება ადამიანის არსებობისა, მ. ნანეიშვილის რატომღაც სქოლიოში გამოთქმულ მნიშვნელოვან აზრს რომ შეეყვეთ, არ მდგომარეობს იმ „მფუყე იდეაში“, რომლის მიხედვითაც თავისუფლება, „სხვა არა არის, თუ არა მოქმედების გარედან დაუბრკოლებლობა, გარეშე დაბრკოლებათა არარსებობა, მათი არქონა, უქონლობა...“ (გვ. 218), თუ ... ლება მხოლოდ და მხოლოდ გარე დაბრკოლებათა არარსებობის შემთხვევაში იწენდეს თავს, ანუ ის მხოლოდ ნეგატიური პირობის ფუნქცია იყოს. ამგვარი სემანტიკის შემცველი თავისუფლება, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია სხვისტყვეობის არსებობა-არარსებობისგან, არ უნდა იყოს ადამიანის სულიერი ევოლუციის შედეგი. ის, როგორც შეესაძლოლობა, ადამიანის „ღვთის ხატად და მსგავსებად“ შექმნისთანავე არსებობს მასში, შექმნილია სპონტანურად, როგორც ქალაქი თავისუფლების ნავსაყუდად, როგორც მისი არსებობის იდეალური მოდუსი, და ის მეტნაკლები სისრულით ხორციელდება ისტორიაში. უკანასკნელი აზრით, თავისუფლება, როგორც შუმერული გენიალური სიტყვა გვიცხადებს, თავისი პრინციპით, დაბრუნებაა გზასაცდარი კაცისა იმ პირველ წიაღში, სადაც ის იშვა. ასე ბრუნდება მამასთან ძე შეცდომილი ქრისტეს იგავში, რომელიც ერთი გზააბნეული კაცის ისტორიის განზოგადებით, კოსმოლოგიურ განზომილებას იძენს.

და რა არის ამ ორი დაბრუნებულის ქცევის თუნდაც გაუცნობიერებული დევიზი, თუ არა ის, რასაც ჩვენი ავტორი თავისუფლისგან მოითხოვს, რომ ის ამბობდეს არა ახე „რაც *მინდა*, ის უნდა“, არამედ თქვას: „რაც *უნდა*, ის მინდა“.

აქ შეიძლება ყოფილიყო თქვენი რეკლამა

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

n 53/83